ალტერნატიული მოსაზრებები იდენტობის ჯგუფის საქმეებზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
აპრილი, 2022

შინაარსი

I. შესავალი ... 3

II. იდენტობის ჯგუფის საქმეების მოკლე მიმოხილვა ... 3

ა) იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ ... 4

ბ) გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი; ბეღელური და სხვები, ცარციძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ ... 4

გ) აღდგომელაშვილი და ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ ... 5

დ) ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ ... 6

III. მინისტრთა კომიტეტის 2021 წლის გადაწყვეტილება ... 7

IV. ზოგადი ღონისძიებების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარვეზები ... 8

4.1 ლგბტ+ თემის უფლებრივი მდგომარეობა ... 8

4.1.1 2021 წლის 5 ივლისის მოვლენებზე მიმდინარე გამოძიება ... 9

ა) ძალადობის ორგანიზატორებთან დაკავშირებით სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი ... 10

ბ) შსს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით გამოძიების დაწყების საფუძველი ... 14

4.1.2 სახელმწიფო წარმომადგენლების მიერ დისკრიმინაციის წახალისება ... 17

4.2 არადომინანტური რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლების უფლებრივი მდგომარეობა ... 18

4.3 შსს-ში სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან საბრძოლველად სპეციალური დანაყოფის არარსებობა ... 19

4.4 სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიებისას დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთის პრობლემა ... 20

4.5 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დისკრიმინაციული მოტივის არარსებობა ... 21

V. რეკომენდაციები ზოგადი ღონისძიებების აღსრულების მიზნებისთვის ... 22

I. შესავალი

1. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ('საიას') მიერ შემუშავებული წინამდებარე ალტერნატიული მოსაზრებები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი **იდენტობის** ჯგუფის საქმეების აღსრულების მდგომარეობას შეეხება. აღნიშნული დოკუმენტის ფარგლებში, საია აფასებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გატარებულ ზოგად ღონისძიებებს, და, დამატებით, სახელმწიფოს კონკრეტული ნაბიჯების გადადგმისაკენ მოუწოდებს.

2. ამ მიზნით, წინამდებარე დოკუმენტი მოკლედ მიმოიხილავს იდენტობის ჯგუფის საქმეებს, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2021 წლის გადაწყვეტილებას, და გამოკვეთს აღსრულების პროცესში გამოვლენილ ხარვეზებს. ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით კი, შესაბამის რეკომენდაციებს გასცემს.

3. დამატებით, აღსანიშნავია, რომ საია იდენტობის ჯგუფის საქმეების ეფექტიანი აღსრულების საჭიროების შესახებ საქართველოს პარლამენტის წინაშე 2019, 2020 და 2021 წელს წარდგენილ ალტერნატიულ ანგარიშებშიც საუბრობდა.[1] აღსანიშნავია, რომ გასულ წელს, საია მიწვეული არ ყოფილა საქართველოს პარლამენტში ალტერნატიული ანგარიშების მოსმენის მიზნით.

II. იდენტობის ჯგუფის საქმეების მოკლე მიმოხილვა

4. 2008 წლიდან დღემდე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ იდენტობის ჯგუფის საქმეებზე საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესს ზედამხედველობს. იდენტობის ჯგუფი ამ ეტაპზე 5 საქმეს აერთიანებს.

5. ეს საქმეები ეხება სახელმწიფოს მიერ ლგბტ+ აქტივისტებისა და იეჰოვას მოწმეების მიმართ ფიზიკური პირებისგან მომდინარე არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისგან არასათანადო დაცვას. კერძოდ, ხსენებულ პერიოდებში შეკრებებისა თუ მარშების მიმდინარეობისას, ფიზიკურმა პირებმა ლგბტ+ პირებსა და იეჰოვას მოწმეებზე სასტიკი თავდასხმები განახორციელეს, რასთან დაკავშირებითაც,

[1] იხ. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წინაშე 2019 წელს წარდგენილი ალტერნატიული ანგარიში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის (1-6104/19/9; 27.03.2019) ანგარიშზე, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების მდგომარეობას შეეხება, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saiam-parlaments-alternatiuli-angarishi-tsarudgina, განახლებულია 12.04.2022; იხ. ასევე, საიას 2020 წლის ალტერნატიული ანგარიში იუსტიციის სამინისტროს 2019 წლის ანგარიშზე, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saiam-parlaments-strasburgis-sasamartlos-saqmeebis-aghsrulebis-mdgomareobis-shesakheb-alternatiuli-angarishebit-mimarta, განახლებულია 12.04.2022; იხ. ასევე, საიას 2021 წლის ალტერნატიული ანგარიში იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის ანგარიშზე, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saiam-strasburgis-gadatsyvetilebebis-aghsrulebis-taobaze-saqartvelos-parlaments-alternatiuli-angarishebi-tsarudgina#sthash.6uqxfj5q.LEjWlI5E.dpbs, განახლებულია 12.04.2022;

სახელმწიფომ არ ჩაატარა ეფექტიანი გამოძიება, მათ შორის, არ გამოკვეთა განხორციელებული ქმედების დისკრიმინაციული მოტივი.

ა) იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

6. საქმე[2] შეეხება 2012 წლის 17 მაისს, ჰომოფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს, სახელმწიფოს მიერ კონტრ-დემონსტრანტების მხრიდან მომდინარე ძალადობისგან მშვიდობიანი ლგბტ+ აქტივისტების არასათანადო დაცვას და ამ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების განუხორციელებლობას.

7. მოცემულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ევროპული კონვენციის მე-3 (წამების აკრძალვა) და მე-11 მუხლების (შეკრების და გაერთიანების თავისუფლება) დარღვევა დაადგინა მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) ერთობლიობაში.

8. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ორგანიზატორებმა წინასწარ გააფრთხილეს პოლიცია დემონსტრაციის ჩატარების, ისევე, როგორც, მოსალოდნელი ძალადობის შესახებ. შესაბამისად, საქართველოში სექსუალური უმცირესობების მიმართ საზოგადოების ნაწილში არსებული უარყოფითი განწყობის ფონზე, პოლიციამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა კონტრ-დემონსტრანტების მხრიდან მომდინარე რისკების შესახებ და პოზიტიური ვალდებულების ფარგლებში უნდა დაეცვა დემონსტრანტები, რაც მან არ განახორციელა. სახელმწიფომ, ასევე, ვერ შეასრულა თავისი პროცედურული ვალდებულება, ჩაეტარებინა ეფექტიანი გამოძიება, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფდა შესაძლო დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთასა და ჰომოფობიური ძალადობის ჩამდენი პირების იდენტიფიცირებას.

ბ) გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი; ბეღელური და სხვები, ცარციძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

9. საქმეები[3] შეეხება 1999-2001 წლებში იეჰოვას მოწმეების მიმართ სხვადასხვა ჯგუფის, მათ შორის, ექსტრემისტ მართლმადიდებელთა ჯგუფის, ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში, სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ, რელიგიური ნიშნით ძალის გამოყენებასა და თავდასხმას, და ამ ფაქტებზე ეფექტიანი გამოძიების განუხორციელებლობას.

10. სასამართლომ კონვენციის მე-9 მუხლის (აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება) დარღვევა დაადგინა მე-14 მუხლთან ერთობლიობაში, ხოლო ბეღელურის და გლდანის კონგრეგაციის საქმეებში, დამატებით, მე-3 მუხლის (არსებითი და პროცედურული ნაწილების) დარღვევა დაადგინა. სასამართლოს განმარტებით, კონკრეტულ ინციდენტებში სახელმწიფოს წარმომადგენელთა პირდაპირი მონაწილეობის, წაქეზების თუ, სულ მცირე, ნების დართვის შედეგად,

---

[2] *იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Identoba and Others v Georgia),* no. 73235/12, 12/05/2015;
[3] *გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ (97 Members of the Gldani Congregation of the Jehova's Witnesses and 4 Others v. Georgia),* no. 71156/01, 03/05/2007; *ბეღელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Begheluri and Others v. Georgia),* no. 28490/02, 07/10/2014; *ცარციძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Tsartsidze and Others v. Georgia),* no. 18766/04, 17/01/2017;

სახელმწიფომ ვერ შეასრულა თავისი ვალდებულება, რათა დაეცვა იეჰოვას მოწმეთა რელიგიის თავისუფლება. აღნიშნულით სახელმწიფომ ხელი შეუწყო ქვეყნის მასშტაბით იეჰოვას მოწმეების მიმართ ძალადობის წახალისებას. სასამართლომ, ასევე, მიუთითა, რომ სახელმწიფომ არ ჩაატარა ეფექტიანი გამოძიება, რომლის ფარგლებში უზრუნველყოფდა რელიგიური მოტივის გამოკვეთას, მიუხედავად იმისა, რომ იეჰოვას მოწმეებზე თავდასხმის დროს თავდამსხმელთა (როგორც კერძო პირების, ასევე სახელმწიფოს წარმომადგენლების) დისკრიმინაციული მოტივი აშკარა იყო საქართველოში იმ დროს გავრცელებული ცრურწმენებისა და ძალადობის მასშტაბების გათვალისწინებით.

11. დამატებით, ცარციძის და ბეღელურის საქმეებში ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ეროვნულ სასამართლოებში მიმდინარე სამართალწარმოება იყო ზედაპირული და მიკერძოებული, რამაც განაპირობა მომჩივანთა პოზიციის დაუსაბუთებლად უარყოფა და პოლიციის ვერსიების იმთავითვე სიმართლედ მიჩნევა.

გ) აღდგომელაშვილი და ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ

12. საქმე[4] 2009 წლის 15 დეკემბერს თბილისში სამართალდამცავების მხრიდან ლგბტ+ ორგანიზაციის ოფისში შეჭრას უკავშირდება, რა დროსაც მომჩივნების მიმართ ადგილი ჰქონდა ჰომოფობიური და ტრანსფობიური სიძულვილის ენის გამოყენებას და მუქარას, ასევე, ჩხრეკის შეურაცხმყოფელი, გაშიშვლებითი ფორმის გამოყენებას. ამ ინციდიენტზე კი სახელმწიფოს არ უწარმოებია ეფექტიანი გამოძიება.

13. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე დაადგინა მე-3 მუხლის (წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) როგორც შინაარსობრივი, ასევე, პროცედურული ნაწილის დარღვევა მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) ერთობლიობაში.

14. სასამართლოს განმარტებით, ჩხრეკის ჩატარებას არ ჰქონია არანაირი საგამოძიებო დატვირთვა, არამედ მისი ძირითადი მიზანი იყო განმცხადებელების და სხვა ქალების უხერხულ, დამამცირებელ მდგომარეობაში ჩაყენება და ამით განმცხადებლების დასჯა ლგბტ+ თემის წევრობისათვის. აქვე, ჩხრეკის ჩატარების დროს პოლიციის ოფიცრების მხრიდან გაკეთებული ჰომოფობიური განცხადებები ამტკიცებდა მათ მიერ განხორციელებული ქმედებების დისკრიმინციულ მიზანს.

15. სასამართლომ, ასევე, აღნიშნა, რომ ეროვნული გამოძიება პოლიციის ოფიცრების მხრიდან შესაძლო დისკრიმინაციული მოტივით არაადამიანურ მოპყრობასთან დაკავშირებით იყო არაეფექტიანი.

---

[4] *აღდგომელაშვილი და ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ (Aghdgomelashvili and Japaridze V. Georgia),* no.7224/11

დ) ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

16. 2021 წლის 16 დეკემბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქმეზე ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ[5] კონვენციის მე-3 (წამების აკრძალვა), მე-11 (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლების დარღვევა დაადგინა.

17. აღნიშნული საქმე შეეხებოდა 2013 წლის 17 მაისს, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს (აიდაჰო) განვითარებულ მოვლენებს. აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით, მომჩივნები გეგმავდნენ მშვიდობიანი აქციის გამართვას, რომლის მიზანი იყო საზოგადოების მგრძნობელობის გაზრდა საქართველოში ლგბტ+ დისკრიმინაციის მიმართ. 2013 წლის 17 მაისს დაგეგმილი მშვიდობიანი აქცია ვერ შედგა, ვინაიდან სახელმწიფომ ვერ შეძლო აქციის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. რადიკალურად განწყობილი კონტრ-დემონსტრანტების ჯგუფის ქმედებები გასცდა მშვიდობიანი აქციის ფარგლებს და მიიღო კანონსაწინააღმდეგო და ძალადობრივი ხასიათი, რამაც საფრთხე შეუქმნა როგორც საზოგადოებრივ წესრიგს, ისე მომჩივანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას.

18. 2021 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლებამ ვერ მიიღო ეფექტიანი ზომები ლგბტ+ ადამიანების დასაცავად კონტრდემონსტრანტებისგან, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯეროვნად იყო ინფორმირებული ამგვარი რისკის მოსალოდნელობის შესახებ. გარდა ამისა, მტკიცებულება, კერძოდ, დამოუკიდებელი ჟურნალისტების მიერ გადაღებული ვიდეომასალა, ადასტურებს სახელმწიფოს მხრიდან ოფიციალურ წაქეზებას/შეთანხმებას განხორციელებულ ძალადობის აქტებთან დაკავშირებით. სასამართლომ, ასევე, დაადასტურა, რომ განხორციელებული ძალადობის უპრეცედენტო მასშტაბზე ზეგავლენა მოახდინა ხელისუფლების უმოქმედობამ, რომელმაც ვერ ჩაატარა დროული და ობიექტური გამოძიება ლგბტ+ თემზე წარსულში განხორციელებული თავდასხმების თაობაზე და მიუთითა საქმეზე იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, რომელზეც სასამართლომ დარღვევა 2015 წელს დაადგინა.

19. სახელმწიფოს მომჩივანთა სასარგებლოდ 193’500 ევროს ოდენობით კომპენსაციის გადახდა დაეკისრა. გადაწყვეტილება ძალაში 2022 წლის 16 მარტს შევიდა. საიამ მინისტრთა კომიტეტს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ ცენტრთან ერთად (EHRAC) 2022 წლის 14 აპრილს მიმართა და ითხოვა ამ საქმის ეფექტიანი აღსრულების მიზნებისთვის მისი იდენტობის ჯგუფში გაერთიანება.

---

[5] *ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (WOMEN'S INITIATIVES SUPPORTING GROUP AND OTHERS v. GEORGIA),* app.nos. 73204/13 74959/13, 16.01.2022;

III. მინისტრთა კომიტეტის 2021 წლის გადაწყვეტილება

20. 2021 წლის 30 ნოემბრიდან 02 დეკემბრამდე მიმდინარე N1419-ე შეხვედრაზე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა იდენტობის ჯგუფის საქმეების აღსრულების მდგომარეობა განიხილა.

21. 2021 წლის 02 დეკემბრის გადაწყვეტილებით, მინისტრთა კომიტეტმა არ დახურა იდენტობის ჯგუფის საქმეები და განაგრძო მათზე ზედამხედველობა, ასევე, სახელმწიფოს კონკრეტული ქმედითი ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდა.[6] კერძოდ:

22. კომიტეტი, ხაზს უსვამს რა სახელმწიფოს განუყოფელ ვალდებულებას, უზრუნველყოს გაძლიერებული დაცვა სიძულვილით მოტივირებული ძალადობისაგან, და დაიცვას თანასწორობა, პლურალიზმი და ტოლერანტობა დემოკრატიულ საზოგადოებაში, გამოხატავს ღრმა შეშფოთებას 2021 წლის ივლისის მოვლენებთან („ღირსების მარში“) დაკავშირებით და მოუწოდებს ხელისუფლებას გამოავლინოს მტკიცე პოლიტიკური ნება სიძულვილის დანაშაულთან საბრძოლველად და შეკრების თავისუფლების დასაცავად მკაფიო ნულოვანი ტოლერანტობის გზავნილის უმაღლეს დონეზე გადაცემის გზით.

23. კომიტეტი ხელისუფლებას მოუწოდებს, მიიღოს ყველა საჭირო ზომა ლგბტ+ თემისა და აქტივისტების მშვიდობიანი შეკრების უფლების შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად, მათ შორის, უსაფრთხოების ადეკვატური დაცვის უზრუნველყოფის გზით და შედეგების შესახებ მოახდინოს კომიტეტის ინფორმირება.

24. კომიტეტი განიხილავს რა ინფორმაციას ღირსების 2021 წლის ივლისის მარშთან დაკავშირებულ მოვლენებზე მიმდინარე გამოძიების შესახებ, **ხაზს უსვამს ჯეროვანი გამოძიებისა და ადეკვატური სანქციების მნიშვნელობას დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის,** ასევე, **მოუწოდებს ხელისუფლებას, უზრუნველყოს ყველა დანაშაული, რომელიც დაკავშირებულია ზემოაღნიშნულ მოვლენებთან, ასევე, წარსულ შეკრებებთან, ეფექტიანად, სწრაფად, ყოვლისმომცველად იქნას გამოძიებული,** აღმოფხვრას ნებისმიერი დისკრიმინაციული მოტივი და დაუყოვნებლივ დაიდენტიფიცირდეს და დაისაჯოს ყველა პასუხისმგებელი პირი, დამატებით, კომიტეტმა მოსთხოვა ხელისუფლებას, რომ აცნობოს განახლებული ინფორმაცია გამოძიების შედეგების შესახებ.

25. **კომიტეტი კვლავ მოუწოდებს სახელმწიფოს, შექმნას სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან საბრძოლველად სპეციალური დანაყოფი;** იმავდროულად მიმართოს ყველა ღონეს სიძულვილის დანაშაულებზე მიმდინარე გამოძიებებში დისკრიმინაციული მოტივის გამოსაკვეთად, ისევე,

[6] იხ. CM/Del/Dec(2021)1419/H46-14, ხელმისაწვდომია: https://hudoc.exec.coe.int/eng?i=CM/Del/Dec(2021)1419/H46-14E, განახლებულია 15.04.2022;

როგორც დაზარალებულის ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, და სწრაფი გამოძიების საწარმოებლად.

26. კომიტეტი მიესალმება რა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სტატისტიკის წარმოების ახალ სისტემას და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან საბრძოლველად შესაბამისი ტრენინგებისთვის გაწეულ ძალისხმევას, იმავდროულად, მოუწოდებს სახელმწიფოს, გააუმჯობესოს სტატისტიკური მონაცემების წარმოების სისტემა ანალიტიკური კომპონენტის წარმოებით.

27. კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოს სახალხო დამცველისა და სამოქალაქო საზოგადოების მჭიდრო ჩართულობით განაგრძოს ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება დისკრიმინაციულად მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით.

28. კომიტეტი იდენტობის ჯგუფის საქმეების აღსრულების მდგომარეობის განხილვას 2022 წლის დეკემბერში დაუბრუნდება.

IV. ზოგადი ღონისძიებების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარვეზები

29. იმისთვის, რომ მოხდეს იდენტობის ჯგუფის საქმეების ეფექტიანი აღსრულება, საჭიროა, მრავალმხრივი ცვლილებები, როგორც ინსტიტუციურ, ისე სოციალურ დონეზე. ქვემოთ განხილული იქნება საქმესთან დაკავშირებული ღონისძიებები, რომელთა გატარებაც ხელს შეუწყობს საქართველოში ლგბტ+ ადამიანებისა და იეჰოვას მოწმეების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

4.1 ლგბტ+ თემის უფლებრივი მდგომარეობა

30. 2021 წლის მდგომარეობით ლგბტ+ თემის უფლებრივი მდგომარეობა კრიტიკულია, ხოლო სახელმწიფოს მხრიდან მათი უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ნაბიჯები არ გადადგმულა.[7] კვლავ გამოწვევად რჩება ლგბტ+ თემის სოციალური, ეკონომიკური და ჯანმრთელობის დაცვის უფლებების სრულყოფილი რეალიზება, მათ შორის მათი თანასწორობის, დისკრიმინაციის აკრძალვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის ჭრილში.[8]

31. წინა წლებში შედარებით გაუმჯობესებული საკანონმდებლო ჩარჩოს მიუხედავად, არ ხდება პრაქტიკაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა.[9] ლგბტ+ პირები აწყდებიან

[7] საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ (2021), 156, ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf, განახლებულია 15.04.2022;
[8] იქვე, 139;
[9] საიას შეფასება 2021 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021, 8, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saia-s-shefaseba-2021-tsels-saqartveloshi-adamianis-uflebata-dacvis-mdgomareobis-shesakheb, განახლებულია 16.05.2022;

ბარიერებს შრომის უფლებების, სამედიცინო და სოციალურ სერვისებზე წვდომის, ასევე, განათლების უფლების სრულად გამოყენების კუთხით.[10] ლგბტ+ პირები განსაკუთრებით დაუცველნი არიან სტიგმისა და ძალადობისგან. გარდა ამისა, ჰომოფობიური და ტრანსფობიური ჯგუფების მზარდი რაოდენობისა და ზეგავლენის გამო ლგბტ+ პირები კვლავ განიცდიან ჩაგვრას, ძალადობასა და დისკრიმინაციას. რადიკალური ჯგუფების მხრიდან ლგბტ+ პირებზე თავდასხმებს სისტემატური ხასიათი აქვს.[11]

32. ლგბტ+ თემის თანასწორუფლებიანობის დაცვის კუთხით ხაზი უნდა გაესვას 5 ივლისს მომხდარი ინციდენტის დროს სახელმწიფოს მხრიდან როგორც პოზიტიური, ასევე, ნეგატიური უფლებების დარღვევას, კერძოდ, როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, „თბილისი პრაიდის“ ორგანიზებით საქართველოში ღირსების კვირეული[12] იგეგმებოდა, თუმცა ღონისძიებების გამართვას საფრთხე შეუქმნეს ჰომოფობიურმა ჯგუფებმა. 5 ივლისს „ღირსების მარშის“ წინააღმდეგ გამართულ კონტრაქციაზე ულტრამემარჯვენე ჯგუფის წევრები ათობით მედიის წარმომადგენელს თავს დაესხნენ, მიაყენეს ფიზიკური, სიტყვიერი შეურაცხყოფა და დაუმტვრიეს ტექნიკა.

33. სახელმწიფომ არ უზრუნველყო ძალადობის შემთხვევების პრევენცია, მათზე ეფექტიანი რეაგირება და აღკვეთა. შედეგად, „თბილისი პრაიდი“ იძულებული გახდა, ღონისძიება გაეუქმებინა.

4.1.1 2021 წლის 5 ივლისის მოვლენებზე მიმდინარე გამოძიება

34. შინაგან საქმეთა სამინისტრომ 5 ივლისს დაიწყო გამოძიება ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის, ძალადობის,[13] სხვისი ნივთის დაზიანებისა და განადგურების[14] ფაქტებზე. ამავე დღეს შსს-ს მიერ გავრცელებული განცხადებით დადგინდა, რომ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებით 55 პირის, მათ შორის, 53 სხვადასხვა მედიასაშუალების წარმომადგენლის მიმართ გამოვლინდა ძალადობის ფაქტები.[15]

---

[10] საქართველოს სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) მიერ უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის 37-ე სესიაზე წარდგენილი დოკუმენტი (2021 წლის იანვარი-თებერვალი), ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3llLxiA, განახლებულია: 16.04.2022;

[11] მაგალითად იხილეთ „მთავარი არხი: მორიგი თავდასხმა ლესბოსელ წყვილზე“, მთავარი არხის ვებგვერდი, 24.04.2021 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3EbfLft, განახლებულია 16.04.2022;

[12] ღირსების კვირეული (ასევე ცნობილია როგორც ღირსების მარში/ღონისძიება ან ღირსების ფესტივალი) არის ღონისძიება ღია ცის ქვეშ, რომელიც აღნიშნავს ლგბტ+ პირების ხილვადობას, კანონიერ უფლებებსა თუ სხვა სოციალურ საკითხებს;

[13] გამოძიება დაიწყო სსკ-ის 154-ე და 126-ე მუხლებით. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, სამინისტროს ვებგვერდი, 05.07.2021;

[14] შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი, 05.07.2021;

[15] „შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია - 5 ივლისს პოლიციის მიერ გამოვლენილი კანონდარღვევის ფაქტების და მათზე მომხდარი რეაგირების შესახებ“, შსს-ს ვებგვერდი, 05.07.2021;

35. ხაზგასასმელია, რომ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა განიხილა რა ინფორმაცია ღირსების 2021 წლის ივლისის მარშთან დაკავშირებულ მოვლენებზე მიმდინარე გამოძიების შესახებ, 2021 წლის 30 ნოემბრიდან 02 დეკემბრამდე მიმდინარე №1419-ე შეხვედრაზე მიიღო გადაწყვეტილება (იხ.თავი III), რომლის თანახმადაც, კომიტეტი ხაზს უსვამს ჯეროვანი გამოძიებისა და ადეკვატური სანქციების მნიშვნელობას დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის, ასევე, მოუწოდებს ხელისუფლებას, უზრუნველყოს ყველა დანაშაული, რომელიც დაკავშირებულია ზემოაღნიშნულ მოვლენებთან, ასევე წარსულ შეკრებებთან, ეფექტიანად, სწრაფად, ყოვლისმომცველად იქნას გამოძიებული, აღმოფხვრას ნებისმიერი დისკრიმინაციული მოტივი და დაუყოვნებლივ დაიდენტიფიცირდეს და დაისაჯოს ყველა პასუხისმგებელი პირი, დამატებით, კომიტეტმა მოსთხოვა ხელისუფლებას, რომ აცნობოს განახლებული ინფორმაცია გამოძიების შედეგების შესახებ.[16]

36. **მართალია, გამოძიება დაიწყო, თუმცა მისი მიმდინარეობა, ბრალდებულთა რაოდენობიდან და გამოძიების ფოკუსიდან გამომდინარე, აჩენს კითხვებს მისი ყოველმხრივობისა და სათანადოდ ეფექტიანობის თაობაზე.**

ა) ძალადობის ორგანიზატორებთან დაკავშირებით სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი

37. 2021 წლის 5 ივლისს „ღირსების მარშის“ საწინააღმდეგოდ გამართულ აქციაზე მომხდარ ფაქტებზე დაწყებული გამოძიებები ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ორგანიზებული დანაშაულის საქმეებიდან, სადაც შესაძლებელია ძალადობის ორგანიზატორთა გამოვლენა.

38. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისთვის გადმოცემული სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2021 წლის 10 ივლისს ჯგუფური ძალადობის ორგანიზატორთა და ხელმძღვანელ პირთა დადგენის მიზნით, კვალიფიკაცია შეიცვალა. ამავე მასალებში მოცემულია 2021 წლის 21 ივლისის დადგენილება კვალიფიკაციის შესახებ. მასში მითითებულია, რომ, ვინაიდან იკვეთება ძალადობისკენ საჯარო მოწოდება, რასაც ჯანმრთელობის დაზიანება მოჰყვა, მიზანშეწონილია, სისხლის სამართლის საქმეს დაემატოს და გამოძიება გაგრძელდეს სსკ-ის 239[1] მუხლის მე-2 ნაწილით (ძალადობრივი ქმედებისკენ საჯაროდ მოწოდება). თუმცა, ხსენებული გამოძიების ფარგლებში ორგანიზებაში ბრალდებულ პირთა გამოკვეთის კუთხით მოკლებული ვართ ინფორმაციას.

39. ორგანიზატორთა პასუხისმგებლობის გამოკვეთის თვალსაზრისით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ არაერთხელ მიმართა საგამოძიებო უწყებას,

[16] გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია: https://hudoc.exec.coe.int/eng#{%22EXECIdentifier%22:[%22CM/Del/Dec(2021)1419/H46-14E%22]}, განახლებულია 05.04.2022;

მათ შორის, 2021 წლის 16 ნოემბერს და 2021 წლის 14 დეკემბერს. აღნიშნულ განცხადებებზე პასუხი დღემდე არ მიგვიღია.

40. საჯაროდ გავრცელებულ კადრებში ნათლად იკვეთება **ზურაბ მახარაძის, ალექსანდრე ფალავანდიშვილის, გურამ ფალავანდიშვილის, სპირიდონ ცქიფურიშვილის** სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი.

41. კერძოდ, გავრცელებული კადრებიდან ჩანს, **ზურაბ მახარაძე** როგორ ახდენს ძალადობრივი ჯგუფების მობილიზებას და მათთან ერთად მიდის სამოქალაქო მოძრაობა „სირცხვილიას“ ოფისში, სადაც სასტიკად გაუსწორდნენ ტელეკომპანია „პირველის“ ოპერატორს, დაზიანებები მიაყენეს ამავე ტელეკომპანიის ჟურნალისტს და დაარბიეს ოფისი.[17] იმის მიუხედავად, რომ ისინი აგრესიით გამოირჩეოდნენ, ადგილზე სულ რამდენიმე პოლიციელი მივიდა.[18] რადიკალური ჯგუფები შენობის მიმართულებით ბოთლებსა და სხვადასხვა ნივთებს ისვროდნენ, კარებზე აბრახუნებდნენ,[19] რის შედეგად შენობა დაზიანდა და შუშები ჩაიმსხვრა.[20] საბოლოოდ, მათ მოახერხეს შენობაში შესვლა[21] და სადარბაზოში ასვლისას ისმოდა ძალადობრივი შეძახილები - „მოკალით“.[22] ამ დროს ოფისში იმყოფებოდნენ ტელეკომპანია „ტვ პირველის“ ჟურნალისტი, მირანდა ბაღათურია და ოპერატორი, ლექსო ლაშქარავა.[23]

42. მოძრაობა „სირცხვილიას“ ოფისზე თავდასხმის შემდეგ ძალადობრივმა ჯგუფებმა „თბილისი პრაიდის“ ოფისისკენ გადაინაცვლეს. ამის თაობაზე შეკრებილებს როგორც **ზურაბ მახარაძემ,**[24] ასევე, **ალექსანდრე ფალავანდიშვილმა** მოუწოდეს.[25]

---

[17] პუბლიკა - Publika [Facebook-გვერდი], 30.07.2021, „5 ივლისის“ ორგანიზება“, 11:08-11:40 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DEHuoO, განახლებულია: 05.04.2022; ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება [Facebook-გვერდი], 05.07.2021, „აქცია პარლამენტთან. ხალხი რჩება რუსთაველის მეტროსთანაც“, 00:40-00:51 წთ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3gV0N3C, განახლებულია: 05.04.2022;

[18] *იქვე.;*

[19] *იქვე.*;

[20] „თბილისი პრაიდის“ მოწინააღმდეგეები „სირცხვილიას“ ოფისთან მივიდნენ, რომელსაც ქვებს და ბოთლებს ესვრიან“, *ინტერპრესნიუსის ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2VbyRAU, განახლებულია 05.04.2022. TV Pirveli - ტელეკომპანია პირველი [ფეისბუქ გვერდი], 05.07.2021, „პირველები“ LIVE“, 1:35:18 წთ, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3yFiudB, განახლებულია 05.04.2022;

[21] რადიო თავისუფლება [ფეისბუქ გვერდი], 05.07.2021, „სიძულვილის ჯგუფებმა "სირცხვილიას" ოფისთან გადაინაცვლეს“, 1:40-2:20 წთ, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3C1Vgjr, განახლებულია 05.04.2022;

[22] *იქვე*, 2:20-4:52 წთ.

[23] TV Pirveli - ტელეკომპანია პირველი [ფეისბუქ გვერდი], 05.07.2021, „პირველები“ LIVE“, 1:17:38-1:18:25 წთ, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3yFiudB, განახლებულია 05.04.2022; TV Pirveli - ტელეკომპანია პირველი [ფეისბუქ გვერდი], 05.07.2021, „მოძალადეებმა „სირცხვილიას“ ოფისში ტვ პირველის კამერა დალეწეს, ჟურნალისტს კი მობილური ტელეფონი წაართვეს და დაუმტვრიეს, გადაღება რომ ვერ მოეხერხებინა“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3bSRa2q, განახლებულია 15.04.2022;

[24] ზურაბ მახარაძე - *„[...]ფილარმონიის მიმართულებით ნაწილი გადავა. 200-300 კაცი საკმარისია [...], თუ საჭიროა, ჩვენ სისხლსაც დავღვრით“*, იხ. პუბლიკა - Publika [ფეისბუქ გვერდი], 30.07.2021, „5 ივლისის“ ორგანიზება“, 12:20-12:50 წთ, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DEHuoO, განახლებულია 05.04.2022;

[25] ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება [ფეისბუქ გვერდი], 05.07.2021, „შსს-ს ადექვატური განცხადებები“, 6:20-6:25 წთ, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38zQMEq, განახლებულია 05.04.2022;

ადგილზე მისული პირები „თბილისი პრაიდის“ ოფისში შეიჭრნენ,[26] აივანზე აძვრნენ, ლგბტ+ დროშა დახიეს და საქართველოს დროშა გადმოფინეს.[27] აქციის მონაწილეები ადგილზე მომუშავე ჟურნალისტების მიმართ ძალადობრივი დამოკიდებულებით გამოირჩეოდნენ.[28] პარალელურად ალექსანდრე ფალავანდიშვილი აგრესიულ განცხადებებს ავრცელებდა, რომ „თბილისი პრაიდზე“ დიდი მტერი საქართველოს არ ჰყოლია,[29] ასევე, მიუთითებდა, რომ თუ იმ პირებს დააკავებდნენ, ვინც შენობაზე აძვრნენ, მათი მხარდამჭერები პოლიციასა და სასამართლოში ძალის გამოყენებით შევიდოდნენ.[30] საგულისხმოა, რომ ამ მოვლენებს ასევე ესწრებოდა მხოლოდ რამდენიმე პოლიციელი, რომლებიც ადგილზე ეკიპირების გარეშე მივიდნენ.[31] მათ კანონდამრღვევებისთვის აივანზე აძრომაში ხელი არ შეუშლიათ.[32]

43. მედიის წარმომადგენლების თავდასხმების პარალელურად, დღის განმავლობაში გრძელდებოდა აგრესიული განცხადებები და შეძახილები მათ მიმართ.[33] **გურამ ფალავანდიშვილი:** *„[..] პირველ რიგში, ჟურნალისტები არიან დამნაშავეები, რომლებიც ეწევიან ჩვენი შვილების მიმართ პროპაგანდას [..]“;*[34] *„[..] როცა ეწევი უბინძურეს ცოდვას, შეიძლება მოიმკო ხალხისგან რისხვა [მიმართავს ჟურნალისტებს.] [..];* [35] *„[..] თუ პრაიდი გაივლის, პირველი აგრესია წამოვა ჟურნალისტებზე [..]“.*[36] აგრეთვე, **ალექსანდრე ფალავანდიშვილიც:** *„[..] ეს ტელევიზიები არიან ჩვენი ქვეყნის მტრობაში, არიან თანამონაწილეები და აუცილებელია მათი ბოროტი საქმის წინ აღდგომა [..];*[37] *„[..] მედია არის ჩვენს*

---

[26] რადიო თავისუფლება [ფეისბუქ გვერდი], 05.07.2021, „სიძულვილის ჯგუფების ნაწილი "თბილისი პრაიდის" ოფისში შეიჭრნენ“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3F35CBI, განახლებულია 05.04.2022;

[27] „„პრაიდის“ აივანზე ძალადობრივმა ჯგუფებმა LGBTQ+ დროშა დახიეს და საქართველოს დროშა გადმოფინეს“, *პუბლიკას ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Zjshdh, განახლებულია 05.04.2022;

[28] „საზოგადოება „ღირსების მარშის“ მოწინააღმდეგეთა ნაწილი „თბილისი პრაიდის“ ოფისში შეჭრას აივნებიდან ცდილობს“, *ინტერპრესნიუსის ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3BD5A1k, განახლებულია 05.04.2022; ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება [ფეისბუქ გვერდი], 05.07.2021, „შსს-ს ადექვატური განცხადებები“, . 7:00-11:40 წთ, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38zQMEq, განახლებულია 05.04.2022;

[29] ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება [ფეისბუქ გვერდი], 05.07.2021, „შსს-ს ადექვატური განცხადებები“, 18:20-18:40 წთ, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38zQMEq, განახლებულია 05.04.2022;

[30] *იქვე*, 22:00-22:16 წთ;

[31] *იქვე*, 13:50-15:10 წთ;

[32] *იქვე*; 11:40-18:00 წთ; „საზოგადოება „ღირსების მარშის“ მოწინააღმდეგეთა ნაწილი „თბილისი პრაიდის“ ოფისში შეჭრას აივნებიდან ცდილობს“, *ინტერპრესნიუსის ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3BD5A1k, განახლებულია 09.11.2021;

[33] ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება [ფეისბუქ გვერდი], 05.07.2021, „შსს-ს ადექვატური განცხადებები“, 4:20-4:30 წთ, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38zQMEq, განახლებულია 05.04.2022; *იქვე*, 2:43:00-2:44:00 წთ;

[34] ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება [ფეისბუქ გვერდი], 05.07.2021, „შსს-ს ადექვატური განცხადებები“, 0:59-1:17 წთ, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38zQMEq, განახლებულია 05.04.2022;

[35] *იქვე*, 1:30-1:39 წთ;

[36] *იქვე*, 2:50-2:59 წთ.

[37] *იქვე*, 2:00:50-2:01:00 წთ.

მტრობაში [..]"[38], „ [..] გაიქეცით, რადგან ეს ხალხი შეიძლება დაგერიონ [მიმართავს ჟურნალისტებს] [..]".[39]

44. ამასთან, სახალხო დამცველის აპარატი, დამატებით, მიუთითებს ***ზურაბ მახარაძისა*** და ***სპირიდონ ცქიფურიშვილის*** პასუხისმგებლობის თაობაზე. კერძოდ, სახალხო დამცველმა გამოცემა ,,პუბლიკას" მიერ გავრცელებული ვიდეო ჩანაწერის[40] საფუძველზე, რომელშიც ზურაბ მახარაძე "თბილისი პრაიდის" საწინააღმდეგოდ გამართული აქციებთან დაკავშირებით სხვადასხვა დროს ახდენს ჯგუფური ძალადობის ორგანიზებას, წინადადებით[41] მიმართა საქართველოს პროკურატურას ზურაბ მახარაძის მიმართ დაეწყოთ სისხლისსამართლებრივი დევნა ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და ხელმძღვანელობის ჩადენის ბრალდებით, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის პირველი ნაწილით. ამასთანავე, სახალხო დამცველმა პროკურატურას 2021 წლის 5 ივლისს ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდების ფაქტზე მოქალაქე სპირიდონ ცქიფურიშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზეც მიმართა.[42] ამ შემთხვევაში სახალხო დამცველის წარდგინებას საფუძვლად დაედო გამოცემა „ტაბულას" მიერ გავრცელებული ვიდეომასალა.[43]

45. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, პირს ბრალი წაეყენება, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული. ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილის თანხმად, დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა[...]. მოცემულ საქმეში ზემოთ აღწერილი ფაქტებისა და ინფორამციის ერთობლიობა ქმნის სათანადო საფუძველს, იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ კონკრეტულ პირებს, კერძოდ, ზურაბ მახარაძეს, გურამ ფალავანდიშვილს, ალექსანდრე ფალავანდიშვილსა და სპირიდონ ცქიფურიშვილს,

---

[38] ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება [ფეისბუქ გვერდი], 05.07.2021, „პარაკლისი", 18:00-18:04 წთ, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3jzW8po, განახლებულია 05.04.2022;

[39] ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება [ფეისბუქ გვერდი], 05.07.2021, „შსს-ს ადექვატური განცხადებები", 4:00-4:13 წთ, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38zQMEq, განახლებულია 05.04.2022;

[40] „5 ივლისის" ორგანიზება" გამოცემა პუბლიკა 30.07.2021 ფესიბუქ გვერდი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3qsDPGH ,განახლებულია: 05.04.2022;

[41] „2021 წლის 5 ივლისს ჯგუფური ძალადობის ორგანიზების ფაქტზე მოქალაქე ზურაბ მახარაძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე-სახალხო დამცველის წინადადება" 03.09.2021 ხელმისაწვდომია: https://ombudsman.ge/res/docs/2021090615354912875.pdf განახლებულია: 05.04.2022;

[42] 2021 წლის 5 ივლისს ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდების ფაქტზე მოქალაქე სპირიდონ ცქიფურიშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე სახალხო დამცველის წინადადება. ვაბგვერდი, 03.09.2021 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3quZ6iR განახლებულია: 05.04.2022;

[43] "დეკანოზი, რომელმაც 5 ივლისს ხალხს ძალადობისკენ მოუწოდა, პოლიციაში იმყოფება" გამოცემა ტაბულა, 05.07.2021, ხელმისაწვდომია https://bit.ly/3quKwbl განახლებულია: 05.04.2022;

ჩადენილი აქვთ დანაშაული. მათ მიმართ საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციიდან გამომდინარე არ იკვეთება, რომ სისხლისსამართლებრივი დევნაა დაწყებული.

46. ორგანიზატორთა პასუხისმგებლობის სათანადო რეაგირების გარეშე დატოვება ახალისებს ძალადობას, აჩენს „დაუსჯელობის სინდრომს“ და საფრთხეს უქმნის საზოგადოებას. მსგავსი დანაშულები ქვეყანაში სათავეს უდებს პროფესიული საქმიანობის განხორციელების, პიროვნების იდენტობის, აზრის გამოხატვის და თავისუფალი განვითარების შიშს. ეს კი, თავის მხრივ, ეწინააღმდეგება დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას.[44]

ბ) შსს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით გამოძიების დაწყების საფუძველი

47. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უმოქმედობასა/არაჯეროვან ქმედებასთან დაკავშირებით, საიამ გამოძიებას (კერძოდ, საქართველოს გენერალურ პროკურატურას) 2021 წლის 28 სექტემბერს მიმართა და მოითხოვა შესაბამისი სამართლებრივი შეფასება მისცემოდა 5-6 ივლისს და მანამდე მიმდინარე ფაქტებს და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის 1-ლი ნაწილის გათვალისწინებით დაწყებულიყო გამოძიება. ასევე, საია ითხოვდა გამოძიების დაწყების/არ დაწყების თაობაზე წერილობით პასუხს. იქიდან გამომდინარე, რომ ამ წერილზე პასუხი ორგანიზაციას არ მიუღია, დამატებით, 2021 წლის 25 ნოემბერს საიამ მიმართა საგამოძიებო ორგანოს 16 სექტემბრის განცხადებაზე რეაგირების მოთხოვნით. მინისტრთა კომიტეტის მიერ 2021 წლის დეკემბერში გამოქვეყნებული გადაწყვეტილების საფუძველზე (იხ. თავი III) კიდევ ერთხელ, 2021 წლის 14 დეკემბერსა და 2022 წლის 24 მარტსაც გაიგზავნა მიმართვები საგამოძიებო ორგანოში. **ყველა ეს განცხადება უპასუხოდ დარჩა.**

48. **შსს-ს ნების არ ქონა, გამოკვეთოს ორგანიზატორთა პასუხისმგებლობის ნაწილი, პირდაპირ არის დაკავშირებული მათ უმოქმედობასა / არაჯეროვან ქმედებასთან, რის შედეგადაც 5 ივლისს დანაშაულებრივი ქმედებების განსახორციელებლად ულტრა-მემარჯვენე ჯგუფებს სრული კარტ-ბლანში ჰქონდათ.**

49. აღნიშნულთან დაკავშირებით, ხაზგასასმელია, რომ სახელმწიფოს წარმომადგენლები ვალდებულები არიან მოახდინონ პრევენცია ან აღკვეთონ ძალადობა, როდესაც იციან ან უნდა სცოდნოდათ მოქალაქეთა სიცოცხლის ან ჯანმრთელობის მიმართ მესამე პირების მხრიდან დანაშაულებრივი ქმედებებით რეალური რისკისა და საფრთხის შესახებ.[45] ამის მისაღწევად, სახელმწიფოებმა უნდა

---

[44] საიას ანგარიში: 5 ივლისის მოვლენების ქრონოლოგია და სამართლებრივი შეფასება, 2021, 41, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/files/2020/%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/5-6%20%E1%83%98%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf, [15.04.2022];

[45] Council of Europe, Recommendation CM/Rec(2016)4[1] of the Committee of Ministers to member States on the protection of journalism and safety of journalists and other media actors, 2016, “Protection”, § 9;

მიიღონ შესაბამისი ღონისძიებები, როგორიცაა სათანადო რაოდენობის საპოლიციო ძალის მობილიზება, ან პირების უსაფრთხო ადგილას გადაყვანა.[46] აგრეთვე, საგულისხმოა, რომ ეს ზომები უნდა იყოს ეფექტიანი და დროული.[47]

50. შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი წარმომადგენლების ქმედებებსა თუ უმოქმედობაში იკვეთება სავარაუდო დანაშაულის ნიშნები. სახელმწიფოს თავისი პოზიტიური ვალდებულების ფარგლებში, როგორც საერთაშორისო-სამართლებრივად, ისე, საქართველოს კანონმდებლობით, ევალებოდა, ძალადობრივი ჯგუფებისგან მომდინარე რისკების გათვალისწინებით, დაეცვა ადგილზე მყოფი სხვა პირები,[48] თუმცა, ცალკეული ჟურნალისტების განმარტებით, მათ მიმართ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედების დროს, პოლიციის თანამშრომლები შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ, თუმცა, მათ სათანადო რეაგირება არ განუხორციელებიათ. პრობლემური იყო სამინისტროს მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულება, რაც ერთი მხრივ, გულისხმობდა დანაშაულის პრევენციას და, მეორე მხრივ, განხორციელებული ძალადობის დროულ აღკვეთას.

51. აშკარაა, რომ ოპერაცია არ იყო დაგეგმილი იმგვარად, რომ მაქსიმალურად ყოფილიყო უზრუნველყოფილი ჟურნალისტების უფლებების დაცვა, რასაც შედეგად მოჰყვა ცალკეულ შემთხვევებში მათი ჯანმრთელობის დაზიანება, ასევე პროფესიული საქმიანობის ხელშეშლა. კერძოდ, შემთხვევის ადგილზე არ იყო მობილიზებული შესაბამისი დანაყოფები საკმარისი რაოდენობით, რომლებიც დაიცავდნენ დაზარალებული პირების უფლებებს. ცალკეულ შემთხვევებში კი, სრულიად უმოქმედო იყო პოლიცია, რითაც ისინი პრაქტიკულად ხელს უწყობდნენ მოძალადეებს მათი განზრახვის სისრულეში მოყვანას. ასევე აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირებისთვის წინასწარვე ცნობილი იყო სავარაუდოდ რა ტიპისა და მასშტაბის ძალადობრივ ქმედებებს შესაძლოა ჰქონოდა ადგილი. ამის მიუხედავად, მათ მიერ არ იქნა მიღებული შესაბამისი ზომები, აღნიშნული კი, როგორც საქართველოს კანონმდებლობის, ისე, საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევას წარმოადგენს. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, კონკრეტულ ინციდენტებში აკრძალულია, არა თუ, სახელმწიფოს წარმომადგენელთა პირდაპირი მონაწილეობა ან/და წაქეზება, არამედ, სახელმწიფო თავის პოზიტიურ ვალდებულებას სულ მცირე, საკუთარი უმოქმედობით/არაჯეროვანი მოქმედებით ძალადობრივი ჯგუფებისთვის

[46] *იქვე.*;
[47] *იქვე.*;
[48] იხ. იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, no. 73235/12, 12/05/2015;

მართლსაწინააღმდეგო ქმედებების განხორციელებაზე ნების დართვის შედეგადაც არღვევს.[49]

52. 5 ივლისს, არათუ მოსახლეობის ზოგადი დამოკიდებულება ქმნიდა სავარაუდო დაპირისპირების მოლოდინს, არამედ კონტრაქციის ორგანიზატორთა განცხადებები მის ძალადობრივ მიზანზე მიუთითებდა და საფრთხეს უქმნიდა მარშის მონაწილეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას (იხ. შემდეგი ქვეთავი), წინასწარ იყო ცნობილი მათი მხრიდან აგრესიისა და ძალადობის რისკის შესახებ. ასევე, ეს პირები აგრესიული დამოკიდებულებით და განცხადებებით გამოირჩეოდნენ მედიის წარმომადგენლების მიმართაც. შესაბამისად, ხელისუფლების ორგანოებმა იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ სავარაუდო დაპირისპირების თაობაზე, ვინაიდან ჰომოფობიური ჯგუფების მსგავსი სახის განცხადებები იყო მრავალჯერადი და საჯაროდ ცნობილი. მიუხედავად ამისა, სახელმწიფომ არ მიიღო შესაბამისი პრევენციული ზომები ძალადობრივი ჯგუფების შესაჩერებლად და აქციის ორგანიზატორების, ასევე მედიის დასაცავად. მათ დროულად არ მოახდინეს შესაბამისი ლოკაციებზე სათანადო რაოდენობის საპოლიციო ძალების მობილიზება.

53. ამრიგად, საქმეზე ეფექტიანი გამოძიების ჩატარების ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულებისა, და, შესაბამისად, სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, აუცილებელია, გამოძიების ფოკუსი მიმართული იყოს შსს-ს უმოქმედობასა თუ არაჯეროვან ქმედებაზე. თუ გადავხედავთ ევროპული სასამართლოს ბოლოდროინდელ გადაწყვეტილებას, რომელიც 2022 წლის 16 იანვარს გამოქვეყნდა, ხოლო, ძალაში 2022 წლის 16 აპრილს შევიდა (***WISG AND OTHERS v. GEORGIA***)[50] ვნახავთ, რომ სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლებამ ვერ მიიღო ეფექტიანი ზომები ძალადობრივი ჯგუფებისგან დაცვის მიზნით, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯეროვნად იყო ინფორმირებული ამგვარი რისკის მოსალოდნელობის შესახებ.

54. გარდა ამისა, მტკიცებულება, კერძოდ, დამოუკიდებელი ჟურნალისტების მიერ გადაღებული ვიდეომასალა, WISG-ის საქმეში ადასტურებდა სახელმწიფოს მხრიდან ოფიციალურ წაქეზებას/შეთანხმებას განხორციელებულ ძალადობის აქტებთან დაკავშირებით. სასამართლომ, ასევე, დაადასტურა, რომ განხორციელებული ძალადობის უპრეცედენტო მასშტაბზე ზეგავლენა მოახდინა ხელისუფლების უმოქმედობამ, რომელმაც ვერ ჩაატარა დროული და ობიექტური გამოძიება ლგბტ+ თემზე წარსულში განხორციელებული თავდასხმების თაობაზე და მიუთითა საქმეზე

[49] იხ. გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ, no. 71156/01, 03/05/2007; ბეღელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, no. 28490/02, 07/10/2014; ცარციძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, no. 18766/04, 17/01/2017;

[50] იხ. WOMEN'S INITIATIVES SUPPORTING GROUP AND OTHERS v. GEORGIA, app.nos. 73204/13 74959/13, 16.01.2022;

იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, რომელზეც სასამართლომ დარღვევა 2015 წელს დაადგინა.

4.1.2 სახელმწიფო წარმომადგენლების მიერ დისკრიმინაციის წახალისება

55. იმის მიუხედავად, რომ მინისტრთა კომიტეტი ყოველწლიურად მოითხოვს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით სახელმწიფო წარმომადგნლების მიერ ნულოვანი ტოლერანტობის გზავნილის განხორციელებას, სამწუხაროდ, რეალობა ამ მხრივ კრიტიკულად საპირისპიროა.

56. კერძოდ, ღირსების მარშის ჩატარებასთან დაკავშირებით ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ პრაიდის კვირეულის წინა პერიოდში თითქმის ერთნაირი განცხადებები კეთდებოდა. ძირითადი მესიჯი იყო, რომ ქვეყანაში არავის უფლება არ ირღვეოდა: *„ამის პოპულარიზაციის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ კანონის წინაშე ყველა თანასწორი ვართ“*, - საქართველოს პარლამენტის წევრი გიორგი ვოლსკი;[51] *„რთული სათქმელია რა, უფლებების შეზღუდვა არ მგონია იყოს, არავინ არ უშლის იმის გაკეთებას რისთვისაც მონდომებულები და მოწოდებულები არიან ეს ხალხი. რაც შეეხება უფრო ხმამაღალ გამოხატვას, არ ვიცი, საზოგადოების სხვა ნაწილსაც უნდა შეეკითხონ ალბათ და მაინც და მაინც კონფრონტაციაზე არ უნდა წავიდნენ“*- უმრავლესობის წევრი დავით სერგეენკო.[52] კონტექსტის და კონკრეტული ადამიანების მხრიდან ღირსების მარშის არასწორად გამოყენების არგუმენტით მის ჩატარებას მიზანშეუწონლად მიიჩნევდნენ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ირაკლი კობახიძე, პარლამენტარი ალუდა ღუდუშაური და თბილისი მერი კახი კალაძეც:[53] *„მე მაქვს ჩემი პირადი დამოკიდებულება - მგონია, რომ სრული კონტექსტის გათვალისწინებით, ამ ადამიანებს უარი უნდა ეთქვათ ამ ღონისძიების ჩატარებაზე“, “ძალიან კომპლექსურია ეს კონტექსტი და ამ კონტექსტის გათვალისწინებით პასუხისმგებლობის მქონე ადამიანებს, წესით, ეს არ უნდა დაეგეგმათ”* - ირაკლი კობახიძე.[54] ალუდა ღუდუშაურის განცხადებით კი, პრაიდის ორგანიზება მიზნად ისახავდა დაძაბულობის ხელოვნურად შექმნას.[55]

---

[51] „ამის პოპულარიზაციის წინააღმდეგი ვარ“ - ვოლსკი „თბილისი პრაიდის“ კვირეულზე“, *ტელეკომპანია მთავარი არხის ვებგვერდი*, 16.06.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ATOOeK, განახლებულია: 15.04.2022;

[52] „ვერ განგიმარტავთ რა არის პრაიდი - დავით სერგეენკო“, *ბათუმი ნიუსის ვებგვერდი*, 18.06.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3H3u7QW, განახლებულია: 15.04.2022;

[53] „კახა კალაძე - „პრაიდის“ კვირეული მიზანშეწონილად არ მიმაჩნია - არსებობენ კონკრეტული ჯგუფები, რომლებმაც შეიძლება, ეს არასწორად გამოიყენონ“, *ინტერპრესნიუსის ვებგვერდი*, 29.06.2021, ხელმისაწვდომია: **https://bit.ly/3ifZjSl**, განახლებულია 15.04.2022;

[54] „საზოგადოება 17.06.2021 / 23:45აა ირაკლი კობახიძე პრაიდზე - მგონია, რომ სრული კონტექსტის გათვალისწინებით, ამ ადამიანებს უარი უნდა ეთქვათ ამ ღონისძიების ჩატარებაზე“, *ინტერპრესნიუსის ვებგვერდი*, 17.06.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3uokrdY, განახლებულია 15.04.2022;

[55] „უმჯობესი იქნება თუ თავს შეიკავებენ და არ ჩატარდება - ღუდუშაური თბილისი პრაიდზე“, *ტელეკომპანია მთავარი არხის ვებგვერდი*, 18.06.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ujqnop, განახლებულია 15.04.2022;

57. 5 ივლისს დილით „ღირსების მარშთან“ დაკავშირებულ მოვლენებს პრემიერ-მინისტრი განცხადებით გამოეხმაურა. მან აღნიშნა, რომ „ღირსების მარში“ სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხეს შეიცავდა და მისი ჩატარება მიზანშეუწონლად მიიჩნია: *„მოგეხსენებათ, მოსახლეობის უმრავლესობისთვის აღნიშნული აქციის ჩატარება არის მიუღებელი, შესაბამისად, მიმაჩნია, რომ აღნიშნული აქცია არ უნდა ჩატარდეს რუსთაველის გამზირზე [..]“.*[56] ამის შემდგომ, ირაკლი ღარიბაშვილმა რუსთავი 2-ის ეთერში განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია როგორ უნდა დაიცვას სახელმწიფომ 30 ადამიანი, მაშინ როდესაც საზოგადოების უმრავლესობა აღნიშნული შეკრების წინააღმდეგია.[57]

58. ამრიგად, არა მხოლოდ, სამწუხაროა, რომ დისკრიმინაციის წახალისება საჯარო პირების მხრიდან ხდება,[58] მაშინ როდესაც სწორედ მათ უნდა შეიტანონ მნიშვნელოვანი წვლილი ჰომოფობიასა თუ ნებისმიერი ნიშნით შეუწყნარებლობასთან ბრძოლის წინააღმდეგ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში,[59] არამედ, იმავდროულად, შეიძლება გაუტოლდეს ძალადობის წახალისებას, რამაც იმგვარ დანაშაულებრივ ქმედებებს დაუდოს სათავე, როგორც ეს 2021 წლის 5-6 ივლისს მოხდა.

4.2 არადომინანტური რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლების უფლებრივი მდგომარეობა

59. არადომინანტური რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლების უფლებების დაცვის კუთხით გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემატური საკითხი, მათ შორის, პენიტენციურ დაწესებულებაში რელიგიის თავისუფლების ჯეროვანი რეალიზაციის კუთხით.

---

[56] „ირაკლი ღარიბაშვილი - დღეს დაანონსებული მარშის ჩატარება მიმაჩნია მიზანშეუწონლად, ქვეყანაში უნდა იყოს წესრიგი და კანონის უზენაესობა; მე, როგორც პრემიერ-მინისტრი და მთავრობის მეთაური, არ დავუშვებ არავითარ ქაოსს და სამოქალაქო დაპირისპირებას, როგორც ჩვენს ხალხს და ჩვენს მოსახლეობას სურს, ისე იქნება ყველაფერი ჩვენს ქვეყანაში“, *საქართველოს მთავრობის ვებგვერდი*, 05.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3H6FU0D, განახლებულია 15.04.2022;
“ირაკლი ღარიბაშვილი: როცა 95% მარშის ჩატარების წინააღმდეგია ყველა უნდა დაემორჩილოს“, რადიო თავისუფლების ვებგვერდი, 12.07.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3roGQZb . განახლებულია 15.04.2022;

[57] "ირაკლი ღარიბაშვილი - 30 კაცი როგორ უნდა დაიცვას სახელმწიფომ, მაშინ უნდა გადაუაროს უმრავლესობას, თუ რა უნდა მომხდარიყო", — აცხადებს პრემიერმინისტრი, 5 ივლისთან დაკავშირებით.“, ონ.ჯი-ის ვებგვერდი 18.09.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31fV1Vq , განახლებულია 15.04.2022;

[58] საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ (2020), 31.03.2021, 180-1; ციტ: გადაცემა „ფარული კონვერტი“ ხელმისაწვდომია: https://rb.gy/elpzhm [17.04.2021];

[59] COMPILATION OF ECRI COUNTRY REPORTS RECOMMENDATIONS PERTAINING TO LGBT PERSONS, (fifth monitoring cycle), ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/09000016809e7b66 [17.04.2021]; COVID-19 AND THE HUMAN RIGHTS OF LGBTI PEOPLE, United Nations Human rights office of the high commissioner, 17.04.2020;

კერძოდ, პრობლემები არსებობს, როგორც სალოცავების არარსებობის კუთხით, ასევე, შესაბამისი საკვებით უზრუნველყოფის მიმართულებით.[60]

60. წინამდებარე ანგარიშის მიზნებისთვის, ყურადღება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე გამახვილდება. უკანასკნელ პერიოდში განვითარებული ფაქტები მოწმობს, რომ სახელმწიფოს რეაგირება რელიგიური ნიშნით მოტივირებულ სიძულვილის დანაშაულებზე არა სისტემური ხასიათის, არამედ ინდივიდუალური ბუნებისაა, რაც, შედეგად ხელს არ უწყობს სამომავლოდ ამგვარი დანაშაულების თავიდან არიდებას.

61. მაგალითისთვის, სახალხო დამცველი 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში ჩამოთვლის შემთხვევებს, როდესაც საქართველოში რელიგიური თავისუფლების შელახვის შემთხვევები არც თუ ისე იშვიათია, მაგალითად ბუკნარის, სავარაუდო უფლებადარღვევებს ადგილი ჰქონდათ სოფელ ბუკნარში, სამთაწყაროში, ნიგვზიანში, წინწყაროში, ქობულეთსა და ადიგენის სოფელ მოხეში.[61] აღნიშნულ საქმეებზე მიმდინარე გამოძიებების ეფექტიანობა კითხვის ნიშნის ქვეშაა დანაშაულის დროული გამოძიებისა და მსხვერპლთათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების თვალსაზრისით.[62]

62. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2021 წლის 16 ნოემბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე მიქელაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის (წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვა) არსებითი დარღვევა დაადგინა.[63] სახალხო დამცველი, ასევე, იეჰოვას მოწმეების საკუთრების დაზიანების ფაქტების შესახებაც უთითებს.[64]

4.3 შსს-ში სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან საბრძოლველად სპეციალური დანაყოფის არარსებობა

63. მისასალმებელია გენერალური პროკურორის ბრძანებით ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის შექმნა (სამმართველოს გარდაქმა). ამასთან, აღსანიშნავია, რომ არც პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი და არც შსს-ის სტრუქტურაში ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი, ვერ ჩაითვლება დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის იმ ეფექტიან მექანიზმად, რომლის

[60] საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ (2021), 138;
[61] იქვე, 168;
[62] იქვე, 169;
[63] იქვე, 168;
[64] იქვე, 169;

შექმნასაც მინისტრთა კომიტეტი სახელმწიფოს ავალებს. აღნიშნულის მიზეზი ის არის, რომ ისინი საგამოძიებო უფლებამოსილებებით აღჭურვილნი არ არიან.[65]

64. ამასთან დაკავშირებით, ხაზგასასმელია, რომ მინისტრთა კომიტეტი 2021 წლის ნოემბრის გადაწყვეტილებაში კვლავ მოუწოდებს სახელმწიფოს, შექმნას სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან საბრძოლველად სპეციალური დანაყოფი (იხ. თავი III).

65. შესაბამისად, აუცილებელია, რომ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან საბრძოლველად, და, უმცირესობათა უფლებების ეფექტიანი რეალიზებისთვის, შსს-ში, მინისტრთა კომიტეტისა და რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის რეკომენდაციის შესაბამისად, შეიქმნას სპეციალიზებული საგამოძიებო ორგანო.

4.4 სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიებისას დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთის პრობლემა

66. წლების განმავლობაში სისტემური პრობლემაა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტიანი გამოძიება და პასუხისმგებელ პირთა დასჯა. სახალხო დამცველი 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში მიუთითებს, რომ „გასული წლის საანგარიშო პერიოდის მსგავსად, კვლავ გამოწვევად რჩება სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების არაეფექტიანი გამოძიება. სავარაუდო სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების შესახებ მომართვიანობა, როგორც წესი, სტაბილურად მაღალია იეჰოვას მოწმეებისა და ლგბტ+ ადამიანების მხრიდან.“[66]

67. მისასალმებელია სტატისტიკური მოცემულობა, რომ შესამჩნევია სიძულვილის მოტივის გამოკვეთის გაუმჯობესებული ტენდენცია,[67] თუმცა, სახალხო დამცველის განმარტებით, კვლავ გამოწვევად რჩება ამ ტიპის სავარაუდო დანაშაულების ირგვლივ შესაბამისი უწყებების მხრიდან ეფექტიანი გამოძიების წარმოების საკითხი

---

[65] იმას, რომ მონიტორინგის დეპარტამენტი ვერ ჩაითვლება დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიან მექანიზმად, ადასტურებს რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის დასკვნა და კომიტეტის განმეორებითი მოწოდება, სახელწიფომ შექმნას სპეციალიზებული საგამოძიებო უწყება კერძოდ, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი მოკლებულია შესაძლებლობას, გამოიძიოს დებულებით გათვალისწინებული კატეგორიის დანაშაულები და სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის, მონიტორინგის განმახორციელებელ ორგანოს წარმოადგენს. თავის მხრივ, გამოძიების პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად შემუშავებული რეკომენდაციების არასავალდებულო ხასიათი გარკვეულ კითხვის ნიშნებს აჩენს მათი ეფექტიანი აღსრულების თვალსაზრისით. იხ. ECRI, CRI(2019)4 Conclusions on the implementation of the recommendations in respect of Georgia subject to interim follow-up, 05/03/2019, ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/ecri-conclusions-on-the-implementation-of-the-recommendations-in-respe/1680934a7e, განახლებულია 15.04.2022;

[66] საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ (2021), 141;

[67] იქვე;

(იხ., ასევე, ქვეთავი 4.1.1 2021 წლის 05 ივლისის დანაშაულებრივ ფაქტებზე გამოძიებასთან დაკავშირებით).[68] გამოძიების ეფექტიანობასთან დაკავშირებით სახალხო დამცველი გამოძიების სწრაფ წარმოებასა და დაზარალებულის ჩართულობასთან დაკავშირებულ პრობლემებს ასახელებს (იხ. ზემოთ ქვეთავი 4.2).

68. მნიშვნელოვანია, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები გამოძიებულ იქნას ეფექტიანი გამოძიებისთვის საჭირო ყველა სტანდარტის დაცვით, მათ შორის, საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, პირთათვის დაზარალებულის სტატუსის დროული მინიჭებისა და სავარაუდო დამნაშავეთათვის ბრალის გონივრულ ვადაში წარდგენის თვალსაზრისით. სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან ბრძოლის წინააღმდეგ სახელმწიფოს არაეფექტიანი პოლიტიკა კი ლგბტ+ პირების ნდობას სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ მკვეთრად ამცირებს.[69]

4.5 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დისკრიმინაციული მოტივის არარსებობა

69. დღევანდელი მდგომარეობით, პრობლემურია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დისკრიმინაციული მოტივის გამოყოფის შესაძლებლობის არარსებობა. კერძოდ, კოდექსის 35-ე მუხლი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დამამძიმებელ გარემოებათა ამომწურავ ჩამონათვალს ითვალისწინებს. მათ შორის არ გვხვდება შეუწყნარებლობის/სიძულვილის მოტივი, რაც იმას ნიშნავს, რომ ლგბტ+ თუ იეჰოვას მოწმეების წინააღმდეგ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან დაკავშირებით, რომელიც, საგამოძიებო ორგანოს შეფასებით, თავისი სიმძიმით, სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედებისთვის საჭირო სტანდარტს ვერ აღწევს, მაგრამ კვალიფიცირდება, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კონკრეტული მუხლის მარტივი შემადგენლობა (როგორც ეს მოხდა, მაგალითად, 2020 წლის 21-22 ივლისს „თბილისი პრაიდის“ მიმართ მომხდარ ქმედებებზე რეაგირებისას), დისკრიმინაციის მოტივის გამოკვეთა თეორიულადაც შეუძლებელი ხდება.[70] ამ პრობლემაზე, ასევე, არაერთ ანგარიშში საუბრობს სახალხო დამცველი.[71]

---

[68] იქვე. იხ. ასევე: დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში, 62-4, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3MvxGSM განახლებულია 16.04.2022;

[69] 2020 Country Reports on Human Rights Practices: Georgia, U.S. Department of State, 30.03.2021, 61, ხელმისაწვდომია: https://www.state.gov/reports/2020-country-reports-on-human-rights-practices/georgia/, განახლებულია 16.04.2022; 2021 Country Reports on Human Rights Practices: Georgia, U.S. Department of State, ხელმისაწვდომია: https://www.state.gov/reports/2021-country-reports-on-human-rights-practices/georgia/, განახლებულია 16.04.2022;

[70] შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, 02.09.2020, ხელმისაწვდომია, https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/13923 განახლებულია 16.04.2022;

[71] Communication from an NHRI (Public Defender (Ombudsman) of Georgia) (05/08/2020) concerning the IDENTOBA AND OTHERS group of cases v. Georgia (Application No. 73235/12), 07.09.2020, ხელმისაწვდომია: http://hudoc.exec.coe.int/eng?i=DH-DD(2020)775E, განახლებულია 16.04.2022; საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, 2019, 37.

70. სიძულვილის მოტივის, როგორც დამამძიმებელი გარემოების არარსებობის პირობებში, ცხადია, სრულყოფილი ვერ იქნება ამგვარ ქმედებებზე სტატისტიკის წარმოება, რაც კიდევ უფრო გაართულებს სახელმწიფოსა თუ სხვა დაინტერესებული პირების მიერ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით სრული სურათის დანახვისა და, შესაბამისად, ადეკვატური რეაგირების შესაძლებლობას. ასევე, ერთნაირი შეფასება ეძლევა დისკრიმინაციული ნიშნით და მის გარეშე ჩადენილ ერთი და იმავე სამართალდარღვევას, რაც გარკვეულწილად აზრს უკარგავს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლას.

71. ხაზგასასმელია, რომ დისკრიმინაციული მოტივის არარსებობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, კიდევ ერთი გამოვლინებაა აღნიშნული კოდექსის ხარვეზიანი ბუნების, მთელ იმ დარღვევათა წყებასთან ერთად, რაც ამ კოდექსის მიერ ადამიანების სამართლიანი სასამართლოს უფლების გარანტიების გარეშე დატოვებაში გამოიხატება. შესაბამისად, სახელმწიფომ საჭირო საკანონმდებლო ცვლილები უნდა განახორციელოს, რომლითაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დისკრიმინაციული მოტივის, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოების, ინკორპორირება მოხდება. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიაში განახორციელოს უკვე წლების განმავლობაში მიმდინარე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმა.

V. რეკომენდაციები ზოგადი ღონისძიებების აღსრულების მიზნებისთვის

1. ***შეიქმნას*** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სპეციალიზირებული საგამოძიებო ერთეული, რომელსაც სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოძიების უფლებამოსილება ექნება;

2. ***შეწყვიტონ*** ხელისუფლების წარმომადგენლებმა სიძულვილის ენით საუბარი, ***დაგმონ*** ძალადობრივი მოწოდებები, ქმედებები და უზრუნველყონ საჯარო განცხადებების მეშვეობით, ტოლერანტული, უფლებებზე ორიენტირებული პოზიციის ადვოკატირება;

3. ***შეიმუშაოს*** საქართველოს მთავრობამ ეფექტიანი პოლიტიკა (სამოქმედო გეგმა), სისტემური დისკრიმინაციის (მათ შორის, ჰომოფობიის) დაძლევისა და საზოგადოებრივი დამოკიდებულების შეცვლის მიზნით;

4. ***შევიდეს ცვლილება*** ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლითაც განისაზღვრება დისკრიმინაციული მოტივის, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების, გამოკვეთის შესაძლებლობა.

5. **<u>გატარდეს</u>** ქმედითი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ლგბტ+ პირებისა და რელიგიური უმცირესობების ნდობის გამყარებას სამართალდამცავი ორგანოებთან მიმართებით.

6. ***<u>დაცული იყოს</u>*** ლგბტ+ ადამიანების უფლებები და უსაფრთხოება შესაბამისი ზომების მიღებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს ამ პირთა მიერ გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებით სათანადოდ სარგებლობა;

7. ***<u>მიღებული იყოს</u>*** დაპირისპირების საშიშროების არსებობისას ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებები, მათ შორის, უზრუნველყოფილი იყოს სათანადო საპოლიციო ძალის მობილიზება;

8. ***<u>უზრუნველყოფილი იყოს</u>*** დროული და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება ძალადობრივ მოწოდებებსა და ქმედებებზე.